

## საქართველოს კონსტიტუციური კანონი

### საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციაში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, №31-33, მუხ.668) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის “ო” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ო) კანონმდებლობა აკადემიური ხარისხების  
ა და საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის შესახებ;”

2. 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3. სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებაში უფასოდ მიიღონ სრული ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი